

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ,
რეგლამენტის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი: რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის აუცილებლობას იწვევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ მიღება, რომელიც ადგენს ახალ პროცედურებსა და ვადებს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი: კანონპროექტის მიღებით ხელი უნდა შეეწყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური (წლიური) ბიუჯეტისა და უშუალოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს (წლიური) ბიუჯეტის პროექტების განხილვის, დამტკიცების, (შესაბამისად, შესრულების) ანგარიშგებისა და კონტროლის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი: წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის, როგორც საბიუჯეტო პროცესის ერთ-ერთი მონაწილისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში საბიუჯეტო პროცესისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებების მაღალხარისხოვანი შესრულების წინაპირობის შექმნას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: კანონპროექტის მიღება არ იწვევს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე: კანონპროექტის მიღება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე გავლენას არ იქონიებს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე: კანონპროექტის მიღება დამატებით ფინანსურ ხარჯებს ბიუჯეტიდან არ მოითხოვს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები: სახელმწიფო ახალ ფინანსურ ვალდებულებებს არ იღებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება: კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსური შედეგების ცვლილებას.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი): კანონპროექტი არ ეხება გადასახადებისა და მოსაკრებლების ოდენობის წესებსა და პრინციპებს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან: კანონპროექტი არ ეხება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან: კანონპროექტი არ ეხება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან: კანონპროექტი არ ეხება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში: ასეთი არ რსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში: ასეთი არ რსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი.